სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს საკონკურსო

კომისიის სხდომის

ოქმი #2

ქ. თბილისი 26 სექტემბერი 2013 წელი

<u>საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:</u>

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

ალექსანდრე ბარამიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს დირექტორი

ნუგზარ კაკულია – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს დირექტორის მოადგილე;

<u>საკონკურსო კომისიის აპარატი:</u>

ოთარ ფერაძე – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს ფინანსისტი

<u>საკონკურსო კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:</u>

<u>საკონკურსო კომისიის წევრი:</u>

ალექსანდრე ბურჭულაძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე - იმყოფება მივლინებაში;

<u>საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი:</u>

ანა ხუციშვილი – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს შესყიდვების კოორდინატორი – იმყოფება შვებულებაში.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ. თბილისში სანდრო ეულის №3-ში მდებარე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"-ს შენობის არქიტექტურულ – საპროექტო – საინჟინრო – სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.

მოისმინეს:

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ №923 კონკურსზე დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა:

- შპს "ლაინ ჯორჯია" – 2013 წლის 19 სექტემბერი 14:47 სთ;
- შპს "გოდაკო +" – 2013 წლის 19 სექტემბერი 14:53 სთ;

საკონკურსო წინადადება დადგენილი ვადის შემდეგ წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შპს "იქს ვაი ზეტ არქიტექტს"-მა, 2013 წლის 19 სექტემბერს 15:36 სთ-ზე და საკონკურსო წინადადება განხილვის გარეშე დაუბრუნდა კონკურსანტს.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიამ გახსნა ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტი და განიხილა მათი წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

- შპს "ლაინ ჯორჯია"-მ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ღირებულებით 68 000 ლარი.
- შპს "გოდაკო +"-მა საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ღირებულებით 59 800 ლარი.

შპს "ლაინ ჯორჯია"-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში მითითებულია სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ვადა 30 სამუშაო დღე, ხოლო საკონკურსო განცხადება ითვალისწინებს პროექტის მომზადებას არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

შპს "გოდაკო +"-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში არ არის მითითებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ვადა და ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან ორივე კონკურსანტის მიერ საკონკურსო წინადადება ხარვეზებით არის წარმოდგენილი, რომელთა დაზუსტება არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადების არსებით ცვლილებას და/ან არ გაზრდის საკონკურსო წინადადების ფასს, მიზანშეწონილია ორივე კონკურსანტს მიეცეს 2 (ორი) სამუშაო დღე საკონკურსო წინადადებების დაზუსტების მიზნით.

<u>კომისიამ დაადგინა:</u>

1. შპს "ლაინ ჯორჯია"-ს და შპს "გოდაკო +"-ის საკონკურსო წინადადებები საჭიროებს დაზუსტებას. დაზუსტებისათვის კონკურსანტებს განესაზღვროთ 2 (ორი) სამუშაო დღე.

შპს "ლაინ ჯორჯია"-მ წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.

შპს "გოდაკო+"-მა წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ და ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

2. საკონკურსო კომისიის აპარატმა აღნიშნული გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს შპს "ლაინ ჯორჯია"-ს და შპს "გოდაკო+"-ს.

უზრუნველყოს კომისიის სხდომის ოქმის და წერილების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

ალექსანდრე ბარამიძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

ნუგზარ კაკულია

<u>საკონკურსო კომისიის აპარატი:</u>

ოთარ ფერაძე